ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 4103 - 110204

საბუღალტრო საქმიანობის ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ

ქ. თბილისი 1 ოქტომბერი 2011 წ.

ერთი მხრივ – **შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"**, (შემდგომში **შემსრულებელი**), მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის, ცირა პაქსაშვილის სახით, და მეორეს მხრივ სსიპ კომუნალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში **დამკვეთი**), _____ სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში **დამკვეთი** უფლებამოსილია დაუკვეთოს, ხოლო **შემსრულებელი** ვალდებულია მოახდინოს პროგრამის **"SuperFin 6"** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის მიწოდება, რომელის გამოყენების საფუძველზეც **დამკვეთს** ექნება შესაძლებლობა:

- დააინსტალიროს პროგრამა „SuperFin 6" საკუთარ კომპიუტერზე.
- ინტერეტის გამოყენებით **შემსრულებლის** სერვერიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, სისტემატიურად განაახლოს პროგრამა „SuperFin 6".

2. შემსრულებლის ვალდებულებები და უფლებები

2.1 **შემსრულებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს "SuperFin 6" აქტივაცია.

2.2 **შემსრულებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე დაარეგისტრიროს **დამკვეთი** თავის სერვერზე, ამავე სერვერზე (Online რეჟიმში) არსებული ყველა საჭირო დოკუმენტით სარგებლობისათვის.

2.3 **შემსრულებელი** ვალდებულია მისცეს საშუალება **დამკვეთს** განაახლოს შეძენილი პროგრამა "SuperFin 6" **შემსრულებლის** ინტერნეტ სერვერიდან.

2.4 **დამკვეთის** მიერ ანგარიშსწორების შეუსრულებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში **შემსრულებელს** აქვს უფლება წამოაყენოს პრეტენზიები.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთის** მიერ აღმოჩენილი იქნება რაიმე შეცდომა პროგრამასთან "SuperFin 6" მუშაობისას, **შემსრულებელი** ვალდებულია აღმოფხვრას არსებული უმოკლეს ვადაში, რომელიც დათქმული იქნება ორივე მხარის მიერ.

2.6 **შემსრულებელის** მიერ **დამკვეთის** მხრიდან მოთხოვნილი დამატებითი მომსახურება ფასიანია. დამატებითი მომსახურების სახეები და ტარიფები მითითებულია **დანართში** 2.

2.7 აღნიშნული კონტრაქტით დადგენილი ფასების ცვლილების შემთხვევაში **შემსრულებე-**

GEORGIA UTILITY SERVICE CENTER OF OZURGETI MUNICIPALITY 437058433

ლი ვალდებულია წინასწარ (არანაკლებ 1 კვირით ადრე) ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით აცნობოს **დამკვეთს** აღნიშნულის შესახებ.

2.8 პროგრამული პროდუქტის შეძენისას მისი ან ქსელური ვერსიის შემთხვევაში, მისი სერვერული ნაწილის, ინსტალაცია ხდება მხოლოდ ერთ კომპიუტერზე და შესაბამისად, განახლებებიც კეთდება მხოლოდ ამ ერთი ლიცენზირებული კოპიისათვის.

2.9 რამდენიმე კომპიუტერზე ერთი და იგივე ლიცენზირებული კოპიის ინსტალაციის შემთხვევაში **შემსრულებელი** არ იღებს პასუხისმგებლობას პროგრამის კორექტულ მუშაობაზე.

2.10 არალიცენზირებული კოპიის აღმოჩენის შემთხვევაში **შემსრულებელი** იტოვებს უფლებას საზღაურის გარეშე შეუწყვიტოს **დამკვეთს** ყველა ლიცენზია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მომსახურების ვადა არ იქნება გასულიინსტალაციის შემდეგ **დამკვეთმა** უნდა გაიაროს რეგისტრაცია **შემსრულებლის** სერვერზე. რეგისტრაციის გარეშე პროგრამა მუშაობს შეზღუდულად.

2.11 როგორც საწყისი ისე ხელახალი ინსტალაციის შემდეგ **დამკვეთმა** უნდა გაიაროს რეგისტრაცია **შემსრულებლის** სერვერზე. მომხმარებლის რეგისტრაციის გარეშე პროგრამა მუშაობს შეზღუდულად.

2.12 იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთი** ხელშეკრულების პირობებს არ შეასრულებს, **შემსრულებელს** აქვს უფლება:

- გადაიტანოს შესასრულებელი სამუშაოს ვადა;
- მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება;
- მოითხოვოს იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც გამოწვეული იქნა ამ სამუშაოს შეწყვეტით, ან შესასრულებელი სამუშაოს ვადის გადატანით.

2.13 **შემსრულებელი** ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა **დამკვეთის** კომერციულ და ტექნიკურ ინფორმაციაზე.

3. დამკვეთის ვალდებულებები და უფლებები

3.1 **დამკვეთი** ვალდებულია, მკაცრად დაიცვას და არ დაარღვიოს **შემსრულებლის** მიერ დადგენილი ლიცენზიური შეთანხმების (რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას **დანართის** 1 სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) თითოეული პუნქტი და მოითხოვოს აღნიშნულის დაცვა საბოლოო მომხმარებლისაგან.

3.2 **შემსრულებლის** მიერ სამუშაოს შეუსრულებლობის ან უხარისხოდ შესრულებისას, **დამკვეთს** აქვს უფლება წარუდგინოს პრეტენზიები და გააფორმოს ისინი შეტყობინების სახით.

3.3 **დამკვეთი** ვალდებულია დროულად მოახდინოს ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ფინანსური ანგარიშსწორება.

4. ანგარიშსწორება

4.1 "SuperFin 6" ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის ღირებულება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული თბილისის ბანკთაშორისი ბირჟის სავალუტო კურსით და მასზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 04/11/2011 თარიღამდე. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული

ღირებულების გადასახადს.

4.2 მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება პროგრამულ პროდუქტზე **"SuperFin 6"** ერთმომხმარებლიანი ვერსიისათვის განისაზღვრება 10 (ათი) ევროს ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

4.3 **დამკვეთის** მიერ 4.1 პუნქტში მითითებული ღირებულების დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი საბანკო დღის მანძილზე.

4.4 შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება წინასწარ (კვარტალურად) მომსახურების მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო ღირებულებას დამატებული უკვე გაწეული დამატებითი მომსახურების ღირებულება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

5.2 **შემსრულებლის** ან **დამკვეთის** მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობით ან ელექტრონული ფოსტით უნდა გაკეთდეს განაცხადი მომსახურების შეწყვეტამდე მინიმუმ ათი სამუშაო დღით ადრე.

5.3 ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად წყდება, წინასწარ გადახდილი მომსახურების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, თუ დამკვეთის მხრიდან არ მოხდება ამ მომსახურების ვადის გასაგრძელებლად ახალი ანგარიშსწორება.

5.4 შეწყვეტილი მომსახურების აღსადგენად **დამკვეთი** იხდის გაცდენილი თვეების, მიხედვით (არაუმეტეს 12 თვისა), აღსადგენი მომსახურებისათვის საჭირო, დაანგარიშებულ ღირებულებას.

5.5 მომსახურების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ **დამკვეთს** ეძლევა პროგრამასთან შეზღუდული მუშაობის საშუალება. **შემსრულებელი** იტოვებს უფლებას თვითონ განსაზღვროს ამ შეზღუდვების ფარგლები.

6. სადაო საკითხების გადაწყვეტა

6.1 ყველა სადაო საკითხი და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რომელთა გადაჭრაც არ ხერხდება ურთიერთმოლაპარაკებით (ურთიერთშეთანხმებით), შეიძლება გადაწყდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სანქციები

7.1 დამკვეთის მხრიდან ფინანსური ანგარიშსწორების დაგვიანების შემთხვევაში, დამკვეთს ავტომატურად შეუწყდება პროგრამის **"SuperFin 6"** განახლების საშუალება და დავალიანების სრულ დაფარვამდე პროგრამა იმუშავებს შეზღუდულად.

შემსრულებელი _____

დამკვეთი _____

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9. მხარეთა რეკვიზიტები

9.1 დამკვეთი:

_____

_____

_____

9.2 შემსრულებელი: შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"

იურიდიული მისამართი:

0159, თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვარტალი, 1 ბ კორპუსი, ბინა 86

საბანკო მონაცემები:

ს/ს "თი ბი სი ბანკი" კოდი TBCBGE22 ა/ა GE41TB0600000027467795

დამკვეთი

შემსრულებელი

ბ. ა.

ბ. ა.

"ქართული პროგრამული სისტემები" შ.პ.ს. "GSS" * 202198754 *

დამკვეთი _____

შემსრულებელი _____